

ნინოს ჯვრის ისტორიის სვინაქსარული საკითხავი და მისთვის დართული ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგია

სომხური საისტორიო წყაროებიდან რამდენიმე ეხება ქართლის გაქრისტიანების საკითხს. მათში შემონახული თითოეული ცნობა თუ მონაცემი დიდი ხანია სამეცნიერო საზოგადოების ინტერესს იწვევს. ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სომხურ სვინაქსარებში დაცულ „ნინოს ჯვრის საკითხავზე“, რომელიც სომხური სვინაქსარების მიხედვით 30 ან 31 მარტს იკითხებოდა. საკითხავის სვინაქსარული ვერსია მომდინარეობს X საუკუნის პირველი ნახევრის სომეხი ავტორის, აპარონ ვანანდელის „ნინოს ჯვრის ისტორიიდან“,¹ ამიტომ, პირველ რიგში, რამდენიმე სიტყვით შევეხებით აპარონ ვანანდელის ნაშრომს.²

თხზულება, რომლის ავტორიც ვანანდის მონასტრის ძმობის წევრი აპარონია, მოგვითხრობს „ნუნეს, ქართველთა წინამძღოლის ჯვრად“ ნოდებულ სინმინდის ისტორიას, რომლის ქარგაც შემდეგი სახისაა: ქართლი წმინდა ნუნეს (ნინოს) დახმარებით ქრისტიანდება, აღიმართება ჯვარი, რომელსაც შემდგომში წმინდა შუშანიკი ქმრის განდგომის გამო გზავნის საკუთარ მამულში — ტარონში, საჰაკის მონაფის — ბერი ანდრეასის დახმარებით, თუმცა ჯვარი ტარონამდე ვერ აღწევს და პარხლის მთებში ჩერდება, საიდანაც ის უკანასკნელ ცოცხალ მამიკონიანს — ჰმაიკ მამიკონიანის ვაჟს, გრიგოლს, შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ მიაქვს კაპუიტის ციხეში. გზად გრიგოლს ბერძნებთან შეტაკება უხდება, რომელიც მისი გამარჯვებით სრულდება. კაპუიტის ციხიდან ჯვარი ვანანდში გადააქვთ და მის სახელზე მონასტერს აშენებენ. აპარონის თხზულების ბოლოს ჯვარი გადატანილია კარინის ციხის (!) დასავლეთით მდებარე სოფელში,³ რომელსაც მის პატივსაცემად 'ჯვარი' უწოდეს, სინმინდის სახელზე სპეციალური მსახურებაა დანესებული და ბაგრატიუნთა გვარის წარმომადგენლები ამ სინმინდეს სოფლებს სწირავენ.

აპარონ ვანანდელის თხზულებამ ორი ხელნაწერით და ორი განსხვავებული რედაქციით მოაღწია ჩვენამდე. პირველ რედაქციას შეიცავს იერუ-

¹ ტრადიციულად აპარონი X საუკუნის ავტორად ითვლება, ბოლო დროს გაჩნდა მისი ახლებური დათარიღებაც XI ს. იხ.: Rapp, *Studies in Medieval Georgian Historiography*, p. 124.

² სამეცნიერო წრეებში აპარონ ვანანდელის თხზულების შესახებ ინფორმაცია ლ. ალიშანმა შემოიტანა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, იხ. ოსტროვსკი, *Скитские*, № 214; ოსტროვსკი, *Записки*, № 153-154.

³ ვანანდელის ტექსტის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ კარინის მახლობლად ჯვრის გადატანა მოგვიანო ჩანართი უნდა იყოს და არ ეკუთვნის თავად აპარონ ვანანდელს.

სალიმის წმინდა იაკობის მონასტერში დაცული XV საუკუნის ხელნაწერი.¹ ამ ხელნაწერის საფუძველზე „ნინოს ჯვრის ისტორია“ გამოაქვეყნა ნ. აკინიანმა 1944 წელს, მასვე ეკუთვნის თხზულების დეტალური წყაროთმცოდნეობითი ანალიზიც.² იერუსალიმურ ხელნაწერში დაცული ტექსტის მხოლოდ პირველი ნაწილი რუსული თარგმანით, მისთვის გაგზავნილი ფოტოპირის საფუძველზე, 1941 წელს გამოსცა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა.³ იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტი გადმოწერა, თუმცა არ გამოუქვეყნებია ნიკო მარს.⁴

აჰარონის თხზულების მეორე რედაქცია მატენადარანის XVIII ს-ის ხელნაწერში (№1885) არის დაცული. ამ ტექსტს მიაკვლია და ის ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ილია აბულაძემ მონოგრაფიაში „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები IX-X საუკუნეებში“.⁵

ნ. აკინიანისა და ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტები აჰარონ ვანანდელის თხზულების ორ სხვადასხვა რედაქციას წარმოადგენს, რაც ნათლად ჩანს მათი შედარებით: ნ. აკინიანის გამოცემაში შუშანიკის ისტორიას მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ეთმობა, მატენადარანის ფრაგმენტში წარმოდგენილი თხრობა შუშანიკის შესახებ „შუშანიკის წამების“ ქართული ტექსტის ნაწილის თარგმანს შეიცავს, რაც სათანადოდ დაადასტურა ილ. აბულაძის კვლევამ,⁶ შესაბამისად, მატენადარანისეული ნუსხა ნ. აკინიანის მიერ გამოცემულ აჰარონ ვანანდელის ისტორიის ტექსტზე უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო.

აჰარონ ვანანდელის „ნინოს ჯვრის ისტორიის“ კრიტიკული ტექსტი ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით გამოსცა პ. მურადიანმა 1998 წელს, თუმცა მეორე რედაქცია ცალკე არ გამოყო და მისი განსხვავებული ნაწილი მე-13, ბოლო, მუხლად დაურთო საკუთარ გამოცემას,⁷ რაც ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელი გვგონია. 1999 წელს გამოქვეყნდა 'ისტორიის' ვანანდელისეული ტექსტის ინგლისური თარგმანი.⁸

¹ ხელნაწერი რამდენჯერმე არის აღწერილი იხ. Սիւրմեանց, *Մայր ցուցակ*: ასევე, Պողաբեան, *Մայր ցուցակ*, էջ 28:

² Ակինեան, *Հայաստանի և Վրաստանի*: ამავე ხელნაწერზე დაყრდნობითა და აკინიანის გამოცემის გათვალისწინებით ისტორია გამოაქვეყნა გ. ჰოვსეფიანცმაც, იხ. Յիշատակարանք ձեռագրաց: Չորս հատորով: Գարեգին Ա. Կաթողիկոս մեծին տան կիլիկիա, էջ 9-16:

³ Меликсет-Бекоев, *История Креста святой Нины*, стр. 59-63. როგორც ჩანს, ლ. მელიქსეთ-ბეგს იერუსალიმური ხელნაწერის არასრული ფოტოასლი გაუგზავნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის არც ნაწარმოების დაწერის დროის განსაზღვრა იქნებოდა რთული და არც „აღმოსავლელი ვოსტიკანის — სპქის“ ფიგურა უცნობი, იხ. Меликсет-Бекоев, *История Креста святой Нины*, стр. 61.

⁴ Марр, *Предварительный отчет*, стр. 36.

⁵ აბულაძე, *ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები*.

⁶ აბულაძე, *ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები*, გვ. 0179-0182.

⁷ Մուրադյան, *Մուրք Շուշանիկ*, էջ 123-145:

⁸ *Passion of Saint Shushanik*.

დღესდღეობით, როდესაც არ ჩანს ვანანდელის თხზულების შემცველი ისეთი ხელნაწერი, რომელიც მატენადარანისეული ხელნაწერის მსგავსი იქნებოდა და თანაც სრული, რთულია მსჯელობა თხზულების ამ რედაქციის ხასიათსა და მის წყაროებზე, ჩვენ ისლა გვრჩება, ვიხელმძღვანელოთ ნ. აკინიანისა და პ. მურადიანის მიერ გამოცემული ვანანდელის ტექსტით და მხოლოდ მათზე დაყრდნობით გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ნაშრომის მიზანი არ არის იმის გარკვევა, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ჯვრის საქართველოდან გატანის ისტორია, რადგან ეს საკითხი სათანადოდ აქვს შესწავლილი ქ. ასათიანს ნაშრომში „ნინოს ჯვრის ისტორიისათვის“.¹ ჩვენი მიზანია შევისწავლოთ სომხურ სვინაქსარებში დაცული ნინოს ჯვრის საკითხავისათვის ბოლოში დართული ნინოს ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგია და განვსაზღვროთ, რომელი სომხური წყაროებითა და რა ცოდნით იხელმძღვანელა სომეხმა ავტორმა ამ ტიპის ქრონოლოგიის შექმნისას, რათა მკითხველისათვის დამაჯერებელი გაეხადა მის მიერ მოთხრობილი ამბები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნინოს ჯვრის საკითხავი“ შეტანილია სომხურ სვინაქსარებში 30 ან 31 მარტს. ზოგადად, სომხურმა სვინაქსარმა განვითარების დიდი გზა გაიარა,² მისი ბოლო, ეროვნული რედაქციის შედგენა გრიგოლ ხლათელის სახელთან არის დაკავშირებული (1349-1425 წწ.), სწორედ გრიგოლის რედაქციის სვინაქსარებშია დაცული ჩვენთვის საინტერესო საკითხავიც.

ნინოს ჯვრის სვინაქსარული საკითხავი, როგორც ამას მკვლევრებიც აღნიშნავენ,³ სწორედ აჰარონის თხზულებას ეყრდნობა — სვინაქსარულ საკითხავში ჯვრის მოგზაურობის ისტორია ვანანდში მისი აღმოჩენის შემდგომ პერიოდს მოგვითხრობს და გრძელდება XIII საუკუნის 30-იან წლებამდე: ჯვრის ისტორიის სვინაქსარული საკითხავი შუშანიკის მიერ ჯვრის ტარონში გაგზავნით იწყება (გამოტოვებულია მისი მცხეთაში აღმართვის ამბავი), შემდეგ მოდის გრიგორ მამიკონიანისა და მასთან დაკავშირებული ისტორიები (ჯვრის გადატანა კაპუიტის ციხეში, ბერძენთა და სომეხთა ჯარების ბრძოლა), ჯვრის გადატანა ვანანდში, ყარსში სუქმანის შეჭრა, ყარსიდან ჯვრის ანისში გადატანა და მისი დაკარგვა.

სვინაქსარული თხრობისა და აჰარონის ისტორიის შედარება გვიჩვენებს, რომ სვინაქსარულ ვერსიას აკლია აჰარონის თხრობის რამდენიმე პასაჟი (მცხეთაში ჯვრის აღმართვა, სასწაულებრივი სვეტის გაჩენა ვალენტინიანეს მიერ რომის აღების წინ და სხვ.), მაგრამ მთავარი ხაზი უცვლელი რჩება და ემატება ჯვრის შემდგომი თავგადასავალი XIII საუკუნის ოცდაათიან წლებამ-

¹ ასათიანი, *ვაზის ჯვრის ისტორიიდან*, გვ. 34-45.

² *საქილქეყანის, «Հայաստուրք»:*

³ *სსქიხნას, Հայաստանի և Վրաստանի*, էջ 114:

დე, როდესაც, თხრობის მიხედვით, ანისში გადატანილი ჯვარი 1236 წელს, მონღოლების მიერ ქალაქის აღების შემდეგ, იკარგება.¹ ჯვრის ისტორიის სვინაქსარულ ვერსიას ბოლოს დართული აქვს აღწერილ მოვლენათა ქრონოლოგია, სადაც მოცემულია ინფორმაცია, თუ სად რამდენი წელი გაატარა წმინდა ნინოს ჯვარმა და როდის და რა ვითარებაში დაიკარგა. ნინოს ჯვრის საკითხავის სომხური ტექსტი ქართული თარგმანით ჯერ კიდევ 1938 წელს გამოაქვეყნა ილია აბულაძემ,² სომხური ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ნერსეს აკინიანსაც.³

ამჯერად თქვენი ყურადღება სწორედ ნინოს ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგიაზე გვინდა შევაჩეროთ.⁴

„ნინოს ჯვრის საკითხავის“ ქრონოლოგიის ნაწილი სომხურ სვინაქსართა მრავალრიცხოვანი ხელნაწერებისა და გამოცემების მიხედვით ორი ვარიანტით არის შემორჩენილი:⁵

პირველი ვერსიით:

ანისში ჯვარი მიიტანეს სომხური წელთაღრიცხვის ԵՃԽԳ (5-ჯერ $100+43= 543+551/2=1094$) წელს; მცხეთაში იყო ՀՀԵ (175) წელი; კაპუიტში, ვანანდსა და ჯვრის მონასტერში ԴՃ და ԺԹ ($4 \times 100 + 19$); ყარსში — ՃԿԴ (164) წელი; მცხეთიდან ანისამდე გავიდა ԸՃ-სზე (800-ს) Դ (4) წლით ნაკლები, ანუ 796; ანისში დარჩა ՃԽ (140) წელი; დაიკარგა მონღოლების მიერ ანისის აღების შემდეგ ($1094+140 = 1234$).⁶

მეორე ვერსიით:

ანისში ჯვარი მიიტანეს სომხური წელთაღრიცხვის ՇԽԳ (1094) წელს;⁷ მცხეთაში იყო ՀՀԵ (175) წელი; კაპუიტში, ვანანდსა და ჯვრის მონასტერში ՆԾԹ (459); ყარსში — ՃԿԴ (164) წელი; მცხეთიდან ანისამდე გავიდა Պ-სზე

¹ აბულაძე, *შუშანიკის წამება*, გვ. 59-63.

² იაკობ ცურტაველი, *მარტყოლობაჲ შუშანიკისი*.

³ *ՏԼԻԽՆԵԱՏ, Հայաստանի և Վրաստանի*, էջ 114-118:

⁴ ჯვრის ისტორიის სვინაქსარულ საკითხავში შემონახულ ქრონოლოგიას პირველად ყურადღება ლაშა ჯანაშიამ მიაქცია, მისი ინტერესის სფერო „ისტორიაში“ შუშანიკის წამებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო. ლ. ჯანაშიას დასკვნით, წყარო „არასანდოა“ და მასში დაცული ქრონოლოგიას „მეტ-ნაკლებად აკლია სიზუსტე“, იხ. ჯანაშია, *შუშანიკის წამება*, გვ. 209-211.

⁵ ნინოს ჯვრის ისტორიის სვინაქსარული რედაქციის გამოცემული ტექსტების გარდა, ჩვენ გამოვიყენეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ამავე რედაქციის სვინაქსარის შემცველი ხელნაწერებიც, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო „ისტორიას“ შეიცავენ.

⁶ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Arm 262.

⁷ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Arm 3 – ანისში ჯვარი მიიტანეს სომხური წელთაღრიცხვის ԵՃԽԳ (1094) წელს; მცხეთაში იყო ՀՀԵ (175) წელი; კაპუიტში, ვანანდსა და ჯვრის მონასტერში ԴՃ და ՄԹ (459); ყარსში — ՃԿԴ (164) წელი; მცხეთიდან ანისამდე გავიდა $\text{ԸՃ} - \text{ՂԶ}$ (796); ანისში დარჩა ՃԽԲ (142) წელი; დაიკარგა მონღოლების მიერ ანისის აღების შემდეგ ($1094+142 = 1236$).

(800-ს) Դ (4) წლით ნაკლები — 796; ანისში დარჩა ՃԽԲ (142) წელი; დაიკარგა მონღოლების მიერ ანისის ალების შემდეგ (1094+142 =1236).¹

მეორე ვერსიის თანახმად, ანისში ჯვრის ყოფნის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 142 წლით და არა 140 წლით, როგორც ეს პირველ ვარიანტშია; ამასთანავე, კაპუიტში, ვანანდსა და ჯვრის მონასტერში ჯვრის ყოფნის წლების საერთო რაოდენობად მითითებულია 459 წელი და არა 419. რომელი რიცხვია ზუსტი? ხელნაერთა დიდი ნაწილი მხარს მეორე ვარიანტს უჭერს და, ამდენად, სწორი, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს. პირველ ვარიანტში კი 419 წლის გაჩენა 459-ის ნაცვლად, ვფიქრობთ, გრაფიკული აღრევის შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ხელნაერთის გადამწერმა ერთმანეთში აურია სომხური Ծ (6, რიცხვითი მნიშვნელობა 50) და Ժ (ჟ, რიცხვითი მნიშვნელობა 10) გრაფემები, რომლებიც ნუსხურის დონეზე საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. ქრონიკის ორივე ვარიანტის თანახმად, განსხვავებულია მცხეთიდან ანისამდე გასული წლების რაოდენობაც, მიუხედავად იმისა, რომ ქრონიკის ორივე ვარიანტი ამ წლების საერთო ჯამად 796 წელს უთითებს, ამ რიცხვს არ გვაძლევს ქრონიკის ვარიანტებში წარმოდგენილი მონაცემების შეჯამება:

თუ პირველ ვერსიას დავეყრდნობით, რიცხვების საერთო ჯამი გვაძლევს $175+419+164=758$ წელს და არა 796-ს, როგორც უშუალოდ ხელნაერთშია მითითებული, მეორე ვერსია კი — $175+459+164=798$ წელს, რაც 2 წლით მეტია ტექსტში დასახელებულ შემაჯამებელ ციფრზე. ფაქტი, რომ ხელნაერთებსა და გამოცემებში წარმოდგენილი ქრონიკა შესაშური სიმტკიცით წლების საერთო რაოდენობად 796 წელს ასახელებს,² გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ქრონიკაში სწორედ ეს რიცხვი იქნებოდა მითითებული, შეცდომა კი გადამწერების მიერ უნდა იყოს დაშვებული რიცხვების საერთო ჩამონათვალიდან რომელიმეში — გრაფემათა აღრევის საფუძველზე. ასეთად კი ჩვენ მცხეთაში ჯვრის მიერ გატარებული წლების რაოდენობა ՀՀԵ (175) მიგვაჩნია, რადგან გრაფიკულად Ե (ე-5) და Է (ე მეშვიდე — 7) გრაფემების აღრევა შედარებით ადვილია, თუმცა გადავხედოთ იმ თარიღებს, რომლებსაც საკითხავისათვის დართული ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგია გვაძლევს:

¹ Ալիხնևան, Հայաստանի և Վրաստանի, էջ 114-118:

² ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ Arm 310 ხელნაერთში (388v-389r) წარმოდგენილი ჯვრის ისტორიის ქრონიკა განსხვავებას სწორედ მცხეთიდან ანისამდე წლების რაოდენობის მითითებისას გვაძლევს, ტექსტის მიხედვით, „ანისში ჯვარი მიიტანეს სომხური წელთაღრიცხვის ԵՃԽԳ (1094) წელს; მცხეთაში იყო ՀՀԵ (175) წელი; კაპუიტში, ვანანდსა და ჯვრის მონასტერში ԴՃ და ԾԹ (459); ყარსში — Հ և ԿԴ (164) წელი; მცხეთიდან ანისამდე კი გავიდა Ո և ՀԳ (673); დაიკარგა მონღოლების მიერ ანისის ალების შემდეგ“. როგორც ვხედავთ, ამ ხელნაერთის მიხედვით, ჯვრის მცხეთიდან გატანისა და ანისში მიტანამდე გავიდა 673 წელი, ამ შემთხვევაში მცხეთიდან ჯვრის გატანის თარიღად 421 წელს ვიღებთ, რაც ძალიან სცილდება შუშანიკის მარტვილობის პერიოდს და გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს.

ანისის ალებისა და ჯვრის დაკარგვის თარიღი — 1236

ყარსიდან ანისში გადატანის თარიღი — 1094 (1236-142)

ვანანდიდან ყარსში გადატანის თარიღი — 930 (1094-164)

კაპუიტიში აღმოჩენის თარიღი — 471 (930-459)

მცხეთაში ჯვრის აღმართვის თარიღი — 296/94 (471-175/7)

ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგიაში მოცემული ერთადერთი თარიღი, რომელიც სომხური ნელთალრიცხვით არის მოცემული — ჯვრის ანისში გადატანის თარიღია. ტექსტის მიხედვით, ჯვარი ანისში გადაიტანეს სომხური ნელთალრიცხვის 543 წელს (Եւ բերին գաւորք Խաչն ի յԱնի ի թուսկանին հայոց ՇԽԳ), ეს თარიღი ორივე ვარიანტში მეორდება და 1094 წელია (543+551/2=1094/95). გადავამოწმოთ, რამდენად შეესაბამება ქრონოლოგიაში დასახელებული ისტორიული მოვლენები სომხურ წყაროთა ჩვენებებს.

ჯვრის სვინაქსარული ისტორია, ისევე როგორც აპარონის ისტორია, პირდაპირ არაფერს ამბობს ნინოს ჯვრის ვანანდიდან ყარსში (ქართული წყაროებით — კარი) გადატანაზე და მხოლოდ რიცხვებით მიჯნავს ჯვრის ვანანდში ყოფნის დროსა და ყარსში ყოფნის დროს. ტექსტის მიხედვით, ყარსიდან ანისში ჯვარი 1094 წელს გადაიტანეს, ყარსში კი ის 164 წელი იმყოფებოდა, შესაბამისად, ყარსში ჯვრის გადატანის თარიღად 930 წელი გამოდის. ეს კი სწორედ ის პერიოდია, როდესაც ყარსს სომეხი ბაგრატუნები (ამოტ ერკათის შთამომავლები) ფლობდნენ და ის სომხეთის დედაქალაქად ითვლებოდა. თუ გავიხსენებთ აპარონის ისტორიას, სწორედ ბაგრატუნები გვევლინებიან ჯვრის მფარველ-მეპატრონეებად მამიკონიანთა ისტორიის სცენიდან გაქრობის შემდეგ.¹

სვინაქსარის საკითხავის მიხედვით, ჯვარი ყარსიდან ანისში ბარსელ სომეხთა კათალიკოსმა გადაიტანა, ამირა სუქმანის ყარსში მისვლის შემდეგ. სომხური საისტორიო წყაროები არაფერს გვეუბნებიან ყარსში სუქმანის შესვლაზე,² რადგან იმ დროისათვის ყარსი უკვე დიდი ხნის გადასული იყო სელჩუკთა ხელში,³ თუმცა სუქმანის მიერ მამიკონიანთა გვარის გაჟლეტის ამბავს სწორედ ნინოს ჯვართან დაკავშირებული ამბების თხრობისას იხსენიებს XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი (აღმოსავლელი).

საინტერესოდ ემთხვევა ერთმანეთს ნინოს ჯვრის საკითხავის ტექსტი და ვარდან აღმოსავლელის ცნობები. ვარდანთან ვკითხულობთ: „ამავე ხანებში ანისში მოიტანეს წმ. ნუნეს ჯვარი, რომელიც ქართველი მმართველის ვარსკენის სარწმუნოებიდან გადახვევის დროს გადატანილ იქნა პარხლის მთებში

¹ ასკინსან, *Հայաստանի և Վրաստանի*, էջ 112-113:

² სუქმანის ურვაზე გალაშქრების შესახებ, იხ. Վարդան Բարձրբերդեցի, *Պատմութիւն Տիեզերական*, էջ 145-147: ვარდან არეველცი, *Մსოջլուո իստորիա*, გვ. 131-132.

³ არისტაკეს ლასტივერტცი, *ისტორია*, გვ. 86.

წმიდა საჰაკის მოწაფის, წმიდა ბერის ანდრეასის მიერ, სადაც დარჩა 7 წელი, ეს რომ გაიგო გრიგორ მამიკონიანმა ჰმიაიკის ვაჟმა, [ბრძანა] გადაეტანათ ის ციხე-სიმაგრე კაპუეტში; აქედან ის გადაიტანეს ვანანდში და ეწოდა ვანანდის ჯვარი. როდესაც უკეთურმა სუქმანმა გაჟლიტა მამიკონიანთა გვარი ბარსელის პატრიარქობისას, [ეს ჯვარი] მოიტანეს ანისში. დღესასწაული მის სახელზე დაწესებულია კვირას, ჯვართამაღლების მერვე დღეს“.¹

ვარდანისა და საკითხავის ცნობები თითქმის იდენტურია, აღმოსავლელის თხრობას მხოლოდ ჯვრის გაუჩინარების ამბავი აკლია, რაც შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ვარდანი 1236-1265 წლების ისტორიას საერთოდ არ აღწერს და ამ პერიოდის მოვლენების შესახებ წერს: „685 (1236) წლიდან სომხური წელთაღრიცხვით 714 (1265) წლამდე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რაც მოიმოქმედა მოისართა ტომმა... აგვიწერეს ჩვენმა მამამ ღვთის წმინდანებთან ერთად განდიდებულმა ვარდაპეტმა ვანაკანმა და ჩვენმა მეგობარმა ვარდაპეტმა კირაკოსმა...“.²

საკითხავისა და ვარდან აღმოსავლელის ცნობათა მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ვარდანიცა და საკითხავიც ნინოს ჯვრის მოგზაურობის აღწერილს საერთო წყაროთი სარგებლობენ, რომელიც დღესდღეობით არ ჩანს.

ანისში ჯვრის გადატანის ინიციატორი, ბარსელ კათალიკოსი, სომხურ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი პირია. მისი მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვანწვდიან სომეხი ისტორიკოსები მათე ურჰაელი, კირაკოს განძაკელი, ვარდან აღმოსავლელი, მხითარ აირივანელი და სხვ. ლაშა ჯანაშია, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ნინოს ჯვრის საკითხავისათვის დართულ ქონოლოგიას მიაქცია ყურადღება, ბარსელ ანელის კათალიკოსად მოხსენიებას 1094 წელს ანაქრონიზმად თვლის, რადგან ბარსელის კათალიკოსობის თარიღად ტრადიციულად 1105-1113 წლები ითვლება.³

¹ «Առ այսու ժամանակսք եմուտ սորբն խաչն Նունայ ՚ի յԱնի՝ այն որ ի յուրացման Վագգենի՝ ազգին Վրաց առաջնորդի, գաղթեցաւ ի խորշս լերինն Պարխարու ի ձեռն սուրբ վանականին Անդրէասայ՝ յաշակերտաց սուրբ Սահակայ, և կացեալ անդ զեօթն ամ. և ապա ազդ արարեալ Մամիկոնեան Գրիգորոյ որդւոյ Հմախիկի, տարաւ ի Կապույտ կոչեցեալ բերդ, և անտի փոխեցաւ ՚ի Վանանդ և կոչեցաւ Վանանդայ խաչ: Եւ ՚ի բառնալ տանն Մամիկոնէից յանօրինէն Սուքմանայ՝ բերաւ յԱնի ի հայրապետութեանի տեառն Բարդիի և կարգեցաւ նմա տին կիւրիակէն, որ զկնի ութօրէիցն խաչապէրացն տօն:», Վարդան Բարձրբերդեցի, *Պատմութիւն Տիեզերական*, էջ 147: ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ. 132-133.

² «Արդ ի վէց հարին ուր և հինգ թուականնամինչս յեօթն հարիւր չորեքսասան յորում եմքս մեր, զօր ինչ արարին ազգն նետողաց ընդ իշխանս և ընդ իշխանութիւնս գրեալ են մանրամասնաբար հայր մեր և ընդ սուրբս Սստուծոյ փարսուրեալ Վանական վարդապետ, և հարագատն մեր՝ Կիրակոս վարդապետ...», Վարդան Բարձրբերդեցի, *Պատմութիւն Տիեզերական*, էջ 192: ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ.164. აქვე აღვნიშნავთ, რომ კირაკოს განძაკელის ისტორიაში არ შემონახულა არანაირი ცნობა ნინოს ჯვრისა და მისი თავგადასავლის შესახებ, იხ. Կիրაკოս Գანძაკეցი, *Պատմութիւն Հայոց*, 1961:

³ ჯანაშია, *მუშანიკის წამება*, გვ. 211.

ბარსელ ანელი კათალიკოსად მართლაც 1105 წელს ეკურთხა, თუმცა, როგორც სომეხი ისტორიკოსების ცნობები გვიჩვენებენ, მას კათალიკოსად უკვე 1081 წლიდან მოიხსენიებდნენ, ეს თარიღი კი მისი კათალიკოსის ადგილის მცველად კურთხევის თარიღია.¹ XII საუკუნის პირველი ნახევრის სომეხი ისტორიკოსი, მათე ურჰაველი მოგვითხრობს: „სომეხთა წელთაღრიცხვის 530 წელს ხელდასხმულ იქნა უფალი ბარსელი“ [«ჩ թուսկանութեանն հայոց ի յամի ՇԼ...ձեռնադրեցին զՏէր Բարսել»], რაც ბარსელის აღსაყდრების თარიღად 1081/2 წელს გვაძლევს.²

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი ბარსელის გარდაცვალების შესახებ გვიამბობს: „სომხური წელთაღრიცხვის 562 (1113/2) წელს მიიცვალა უფალი ბარსელი, ეპყრა რა მამადმთავრობა 33 წელი“ [«Ի ՇԿԲ թուսկանին վախճանեցաւ տէր Բարսել՝ կալեսալ զհայրապետութիւնն սան երեսուն երեք»].³ თუ მითითებულ თარიღს გამოვაკლებთ ბარსელის მამადმთავრობის წლების საერთო რაოდენობას (33-ს), მივიღებთ 1080/81 წელს. ამრიგად, კირაკოს განძაკელისათვისაც ბარსელის აღსაყდრების თარიღი 1080/81 წელია და მისი მოხსენიება კათალიკოსად 1094 წელს შუა საუკუნეების ისტორიკოსებისათვის ანაქრონიზმს არ წარმოადგენს.

ეჭვს არ იწვევს არც ბარსელის ანისში ყოფნა 1094 წელს, ვარდან აღმოსავლელი გვამცნობს, რომ 1092 წლისათვის ბარსელ კათალიკოსი კესარიის გავლით ურჰავში ჩავიდა, აქედან კი ანისში გაემგზავრა.⁴ ამრიგად, 1094 წლისათვის ბარსელ კათალიკოსის ანისში ყოფნა სომხური წყაროებისათვის ფაქტია და მის სახელთან ნინოს ჯვრის ანისში გადატანის დაკავშირებაც სომეხ მკითხველებში კითხვის ნიშნებს არ გააჩენდა.

თუ ჯვრის ანისში მისვლის თარიღს — 1094 წელს, გამოვაკლებთ სვინაქსარშივე მითითებული წლების იმ რაოდენობას, რომელიც გაიარა ჯვრის აღმართვიდან მის ანისში მისვლამდე, მივიღებთ 298 წელს (1094-796=298). ამრიგად, საკითხავის მიხედვით, გამოდის, რომ ჯვარი მცხეთაში აღიმართა 298 წელს. ეს თარიღი საკმაოდ სცილდება ქართლის გაქრისტიანების ოფიციალურ ვერსიას და სომხური სამოციქულო ეკლესიის მიერ სომხეთის გაქრისტიანების მიღებულ ოფიციალურ თარიღზე (301 წ.) ადრეულიცაა.

მართალია, „ნინოს ჯვრის საკითხავში“ ამაზე საუბარი არ არის, რადგან ტექსტში არ არის მოტანილი აჰარონის ისტორიის პირველი ნაწილი — ჯვრის მცხეთაში აღმართვის თხრობა, მაგრამ ისიც ქართლის გაქრისტიანებას გრი-

¹ Քրիստոնէայ Հայաստան, էջ 175:

² Պատմութիւն Մատթէոս Ուրխաեցոյ, էջ 265-66:

³ Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց, էջ 108:

⁴ Վարդան Բարձրբերդեցի, Պատմութիւն Տիեզերական, էջ 143: ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, გვ. 129-130.

გოლ განმანათლებელთან უნდა აკავშირებდეს, სომხეთის გაქრისტიანების თარიღად კი უნდა იღებდეს III საუკუნის 90-იან წლებს. როგორც არ უნდა იყოს რეალური თარიღი, ფაქტია, რომ სხვადასხვა სომხური წყარო სრულიად განსხვავებულ ვერსიებს გვანვდის სომხეთის გაქრისტიანების შესახებ, მათ შორის გვხვდება III საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიც. მაგალითად, მოსე კალანკატუელისათვის სომხები რომაელთა წელთაღრიცხვის 43-ე წელს გაქრისტიანებულან, რაც 291 წელს გვაძლევს.¹ შესაბამისად, მცხეთაში ჯვრის აღმართვა, ანუ ქართლის გაქრისტიანების თარიღად 298 წლის მიღებაც ჩვენი სომეხი ქრონისტიკისათვის ქრონოლოგიური აღრევა კი არა, მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობაა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: თუ სვინაქსარისეული ჯვრის აღმართვის თარიღს მივუმატებთ წლების იმ რაოდენობას, რომელიც მან მცხეთაში გაატარა, მივიღებთ 473 წელს ($298/9+175/7=473/75$), რაც საინტერესოდ უახლოვდება შუშანიკის გარდაცვალების თარიღს,² რა არის ეს — დამთხვევა თუ გამიზნული მინიშნება? ვფიქრობთ, ის, ვინც ნინოს ჯვრის საკითხავის დამატებით, ქრონოლოგიის ნაწილს ქმნიდა, საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული თანადროულ ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში.

473/5 წელთან დაკავშირებით შეიძლება ვინმე შეგვედავოს, რომ სვინაქსარის მიხედვით, ნინოს ჯვარმა მცხეთა შუშანიკის გარდაცვალებამდე დატოვა და ის 7 წლის განმავლობაში პარხლის მთებში ინახებოდა,³ მაგრამ, ჩანს, ეს 7 წელი სვინაქსარული ვერსიის ავტორისათვის იმ 175/7 წელში შედის, რომელიც ჯვრის მცხეთაში ყოფნას უკავშირდება, რადგან შემდგომი რიცხვი 459 წელი ჯვრის კაპუიტსა და ვანანდში გატარებული წლების საერთო რაოდენობის ამსახველია და არსად აღარ არის ნახსენები სპერი ან პარხალი.⁴

თარიღი, რომელიც ჯვრის დაკარგვის თარიღად არის გამოცხადებული, ანისის მონღოლების მიერ აღებასთან არის დაკავშირებული, სვინაქსარის მიხედვით, ჯვარმა ანისში დაყო 142 წელი და დაიკარგა მონღოლების მიერ ქალაქის აღების შემდეგ. ქრონიკის მონაცემებით, თუ 1094 წელს დავუმატებთ

¹ Movses Dasxuranci, *The History of the Caucasian Albanians*, გვ.173, შენ.1; ასევე, იხ. MacDermot, *The Conversion of Armenians*, p. 295.

² აბულაძე, *შუშანიკის წამება*, გვ. 21-23.

³ სწორედ ამ 7 წელზე აქვს საუბარი ნ. ჯანაშიასაც, როდესაც ქრონიკის მიხედვით მცხეთაში ჯვრის აღმართვის თარიღად 289 წელს იღებს, იხ. ჯანაშია, *შუშანიკის წამება*, გვ. 210.

⁴ შესაძლოა, მცხეთასა და პარხლის მთებში გატარებული წლების რაოდენობა 175/7 ერთად არის წარმოდგენილი, რადგან ამ წლების განმავლობაში, სვინაქსარის ავტორის აზრით, ჯვარს არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია და მისი აღქმით, სპერი — ეს საქართველოა, შესაბამისად, რიცხვებიც დაჯგუფებულია გეოგრაფიის მიხედვით: პირველი — საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნა (მცხეთასა და სპერში) — 175/7, მეორე — სომხეთში გადატანა და კაპუიტსა და ვანანდში ყოფნა — 459 წელი, ყარსი — 164 და ბოლოს, ანისი — 142.

142-ს, მივიღებთ 1236 წელს, ეს თარიღი კი ნამდვილად ემთხვევა ანისის ალექსანდრის თარიღს.¹

ამრიგად, ვინც უნდა იყოს ნინოს ჯვრის საკითხავის ავტორი, ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით და ჯვრის ისტორიის გადმოსაცემად იყენებს და ეყრდნობა იმ ისტორიულ მონაცემებს, რომლებიც ცნობილი და მიღებული იყო სომეხ ისტორიკოსებთან, შუა საუკუნეების სომხურ გარემოში და მათი საშუალებით აგებს და მეტ დამაჯერებლობას აძლევს თავის თხრობას.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები — აბულაძე ილ., *ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობები IX-X საუკუნეებში*, თბილისი, 1944.

აბულაძე, შუშანიკის წამება — აბულაძე ილ., *შუშანიკის წამება*, თბილისი, 1974.

არისტაკეს ლასტივერტცი, ისტორია — არისტაკეს ლასტივერტცი, *ისტორია*, თბილისი, 1974.

ასათიანი, ვაზის ჯვრის ისტორიიდან — ასათიანი ქ., *ვაზის ჯვრის ისტორიიდან*, სს, 4-5, 2003, გვ. 34-45.

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია — ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, თბილისი, 2002.

იაკობ ცურტაველი, მარტკლობა შუშანიკისი — იაკობ ცურტაველი, *მარტკლობა შუშანიკისი*, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1938.

ჯანაშია, შუშანიკის წამება — ჯანაშია ნ., *შუშანიკის წამება*, თბილისი, 1986.

MacDermot, *The Conversion of Armenians* – MacDermot B., *The Conversion of Armenians in the 294 A.D.*, REArm, t. VII, 1970, pp. 281-359.

Movses Dasxuranci, *The History of the Caucasian Albanians* – *The History of the Caucasian Albanians* by Movses Dasxuranci, translated by C. J. F. Dowsett, New York, Toronto, 1961.

Passion of Saint Shushanik – *Passion of Saint Shushanik*, The Martyrdom of St. Vardan Mamikonian's Daughter, Translated with an Introduction by Rev. Father Krikor Vardapet Maksoudian, Edited by Ch. H. Zakian, In memory of Yeretsgin Agnes Rose Maksoudian, 1999.

¹ Կիրակոս Գանձակեցի, *Պատմութիւն Հայոց*, էջ 258-259:

Rapp, *Studies in Medieval Georgian Historiography – Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts* by St. H. Rapp Jr, Lovanii, 2003.

Ալիշան, Այրարատ – Ղ.Ալիշան, *Այրարատ*, Բնաշխարհի Հայաստանեայց, Վենետիկ, 1890:

Ալիշան, Հայապատում – Ղ.Ալիշան, *Հայապատում*, պատմիչք և պատմութիւնք Հայոց, I, Վենետիկ, 1901:

Ակիներեան, Հայաստանի և Վրաստանի – Ն. Ակիներեան, *Հայաստանի և Վրաստանի Քրիստոնէութեան դարձ*, 1949:

Ավդալբեգյան, «Հայսմաւորք» – Մ. Ավդալբեգյան, «Հայսմաւորք» ժողովածուները և նրանց պատմագրական արժեքը, Եր., 1982:

Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց – Կիրակոս Գանձակեցի, *Պատմութիւն Հայոց*, Երեւան, 1961:

Պատմութիւն Մատթէոս Ուրհաեցոյ – Պատմութիւն Մատթէոս Ուրհաեցոյ, Յերուսաղեմ, 1869:

Մուրադյան, Մուրք Շուշանիկ – Պ. Մուրադյան, *Մուրք Շուշանիկ վկայաբանություն*, Եր., 1998:

Միրումեանց, Մայր ցուցակ – Մայր ցուցակ Հայերեն ձեռագրաց Երուսաղեմի սրբոց Յակոբեանց Վանքի, հատ. Ա: Կազմեց Արտաւազդ արք. Միրումեանց, Վենետիկ, 1948:

Վարդանայ Բարձրբերդեցի, Պատմութիւն Տիեզերական – Մեծի Վարդանայ Բարձրբերդեցոյ Պատմութիւն Տիեզերական, Մոսկվա, 1861:

Պողարեան, Մայր ցուցակ – Մայր ցուցակ Հայերեն ձեռագրաց Երուսաղեմի սրբոց Յակոբեանց, հատոր Առաջին, կազմեց Նորայր Եպս.Պողարեան, Երուսաղեմ, 1966:

Քրիստոնէայ Հայաստան – Քրիստոնէայ Հայաստան Հանրագիտարան, Երեւան, 2002:

Март, Предварительный отчет – Март Н., *Предварительный отчет о работах на Синае веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым и в Иерусалиме в поездку 1902 (Апрель-Ноябрь)*, СИППО, т. XIV, ч. II, 1903.

Меликсет-Беков, История Креста святой Нины – Меликсет-Беков Л., *История Креста святой Нины*, ИАФАН СССР, № 9 (14), 1941, стр. 59-63.

**A Synaxarion Lesson of the History of St. Nino's Cross and
the Chronology of the Journey of the Cross**

Summary

In Armenian Synaxarion (*Haimsavurks*) on March 30 or 31, the lesson of St. Nino's Cross is preserved, which tells the story of the cross from its erection in Mtskheta to its loss after the capture of Anis by the Mongols. It is believed that the history of the lesson of the Cross is based on the 10th century Armenian author Aharon of Vanand's work "The story on the Holy Cross of Nune". The work, the author of which is Aharon, a member of the brotherhood of the Vanand monastery, tells the story of the Holy Cross of "Nune, the leader of the Georgians"; the plot is as follows: Kartli becomes Christian with the help of Saint Nune (Nino), the cross is erected, which Saint Shushanik later sends to her homeland – Taron – due to the apostasy of her husband, with the help of monk Andreas, a disciple of Sahak, however, the cross does not reach Taron and stops in the Parkhali mountains, from where it is taken by the last living Mamikonian – Grigol, the son of Hmaik Mamikonian, to the Castle Kapuit after the death of Shushanik. On the way, Grigol has a fight with the Greeks, which ends with his victory. The cross is moved from the Castle Kapuit to Vanand and a monastery is built in its name. At the end of Aharon's work, the cross is moved to the village west of the Castle Karin, which was named "Cross" in its honour. A special service is established in the name of the Holy Cross and the representatives of the Bagratuni dynasty donate this sanctity to the villages.

The comparison of the Synaxarion narrative and the story of Aharon shows that the Synaxarion version lacks several passages of the Aharon's narrative (the raising of the cross in Mtskheta, the appearance of the miraculous pillar before the capture of Rome by Valentinian, etc.); however, the main line remains unchanged and the post-cross adventure is added until the 1230s, when, according to the narrative, the cross that was moved to Anis in 1236, was lost after the capture of the city by the Mongols.

A detailed study of the chronology attached to the lesson shows that its author is well acquainted with both Armenian and Georgian historical sources and relies on those historical data (the Christianization of Armenia in 291; the death of Shushanik in 473/5; the rule of the Bagratuns in Vanan – 10th century; the years of the activity of Catholicos Barseg – 1081-1113, the capture of Anis by the Mongols – 1236), which were known and accepted by Armenian historians in the Armenian environment of the Middle Ages, thus building and giving more credibility to his narrative.